ნაკუმციერისათა რაიონებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიული განათლების საქმის გასაძლიერებლად ლონისძიებათა დაწერილებით განხილვის მიზნით, ც. კ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ მოაწყოს ინსტრუქციული თათბირები ცენტრალურ ორგანოებში.

11. პარტაქტივის თეორიული სწავლების გაძლიერების მიზნით, შემოდგომიდან ყველა რაიონული კომიტეტის პროპაგანდისტი (მასწავლებელი) ვალდებული იქნეს ორ თვეში ერთხელ ჩაატაროს ლექცია პარტაქტივის სემინარების ქსელი 40-მდე, ამასთან გაეწეროს დახმარება კვალიფიციური ძალებით ცენტრიდან პირველ რიგში უფრო ჩამორჩენილ რაიონებს. უფრო ხშირად მოეწყოს ბიუროვე ლექციები ფართო პარტაქტივისათვის აქტუალურ საკითხებზე.

12. პარტიის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების პერიოდში უზრუნველყონ პარტიული განათლების ქსელში პარტიის წევრების და კანდიდატების მთელი 100 პროცენტით ჩაბმა. ხოლო უპარტიო აქტივისა—60 პროცენტით მაინც.

13. მთელი მოსამზადებელი მუშაობა შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლებისათვის წარმოებულ იქნას ისეთი ანგარიშით, რომ არ ჩაშალოს საზაფხულო პარტსწავლების გამართვა მიმდინარე ამოცანებისადმი, მარქსისტულ-ლენინური აღზრდის დარგში. საზაფხულო პარტსწავლების დროს პარტგანათლების ქსელში გამოსაცდელად ჩაბმულ პირებს შორის ცალკე ჯგუფად გამოიყოს ზოგი მაღალ ინტელექტუალური პირისთვის და ვიწრო პრაქტიკოსებისთვის განკუთვნილი ჯგუფები.

ცენტრალური კომიტეტის პარტგამომცემლობა ვალდებულ იქნეს ამ ჯგუფებისათვის სპეციალური სახელმძღვანელოების გამოცემა.

14. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში პარტსწავლების მოსაწყობად ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ნებართვით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ნებართვით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ნებართვით

მივაღწიოთ სასწრაფო გარდატეხას მარცვლეულის ღონეებში

კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციამ“ სახელმწიფოს პური კალოდანვე ჩააბარა

(ბურჯაანის რაიონი)

კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუცია“ (ბურჯაანი) სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების საქმეში მოწინავეთა რიგებშია.

ამ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ დაადგინა სახელმწიფო ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულების მიზნით სიმინდის ნაცვლად ხორბალი ჩაებარებინა.

ნაკისრი ვალდებულება ოქტომბრელმა კოლმეურნეებმა პირნათლად შეასრულეს.

11 ივლისს კოლმეურნეობის წითელი ჯარავნები უშუალოდ კალოდან სალეწი გუნქტიდან დაიძრნენ მარცვლეულის მიმღებ გელლებისაკენ და სახელმწიფოს ჩააბარეს 4.018 კილოგრამი პური. ამრიგად, კოლმეურნეობამ მთლიანად შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

რაიონის დანარჩენმა კოლმეურნეობებმა მაგალითი უნდა ბღოონ ზემოხსენებულ კოლმეურნეებისაგან და სახელმწიფო ვალდებულება შეასრულონ პურის გალეწვისთანავე — კალოდან.

კ. მათიაშვილი

კოლმეურნეები აწყობენ წითელ ჯარავნებს

(ტალინიხის რაიონი)

მოსავლის აღება რაიონის დაბლობ ადგილებში ა.-წ. სამ ივლისიდან დაიწყო და 4 ივლისს უკვე ბებნისის კოლმეურნეობამ პირველმა რაიონში პირველ კალოდან სახელმწიფოს ჩააბარა 192 კილოგრამი ქერი, მას მიყვნენ ბრეთის, რუისის, სასირეთის, წვერის, საღოლაშენის, და სხვა კოლმეურნეობები; რომლებიც მტკიცეთ ანხორციელებენ ლოზუნგს პირველი ნალეწი სახელმწიფოს ვალდებულებაში ჩაბარების შესახებ.

ა.-წ. 16 ივლისისათვის რაიონში მოსავალი აღებული იყო 122 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებში 30 ჰექტ. კოლმეურნეობებში 77 ჰექტ. და ინდ. მეურნეობებში 15 ჰექტ. მოსავლის მასიური აღება დაიწყო 17—18 ივლისიდან.

16 ივლისისათვის ზაგოტზერნოს საწყობებში ჩაბარებული იყო 13.271 კილოგრამი პურეული; ანუ წლიური გეგმის 0,6 პროცენტი.

ტ. გოზალოვი.

კოლმეურნეობები გალეწვისთანავე აწყობენ წითელ ჯარავნებს და წითელ დროშებით მორთული უპირველეს მიემართებიან პურის მიმღებ პუნქტებისაკენ, მთელმა რიგმა, კოლმეურნეობებმა (ქვენატკოცის, რუისის, წვერის და სხვა) გამოიტანეს გადაწყვეტილება სიმინდის ვალდებულება შეასრულონ ქერით, რათა გეგმები ვადაზე ადრე იქნეს შესრულებული.

რაიონის კოლმეურნეთა ერთსულოვნება პირველ რიგში და ვადაზე ადრე ჩაბარონ სახელმწიფოს ვალდებულება თავდებია იმის, რომ მარცვლეულის დამზადების გეგმები წარმატებით იქნება შესრულებული. ამ მიმართულებით რაიონულ ორგანიზაციების ბოლშევიკურ ხელმძღვანელობით ფართოთ არის გაშლილი მუშაობა.

ტ. გოზალოვი.



ზოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტრუქტორი სტუდენტი ქალი ამხ. ჭინჭინაძე თვითმკვრელით მუშაობს მოსავლის აღებაზე შირაქის საბჭ. მეურნეობაში

გალეწვა უნდა დაჩქარდეს

(წერილი ალაზნის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობიდან)

ამჟამად შირაქის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს ოთხი სალეწი მანქანა. თვითეულ აგრეგატთან ჩამოყალიბებულია თითო ბრიგადა. აღსანიშნავია, ლეწვის მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. მეურნეობაში არ ტარდება სადირექტივო ორგანოების მიერ სალეწისათვის დაწესებული 21 საათით მუშაობა დღე-ღამეში. მუშაობა წარმოებს მხოლოდ ერთ ცვლად.

ყურადღება არ ექცევა მოსავლის დაცვა-დატაცებისაგან. პურის ძნებს ღამით არავინ დარაჯობს.

4 ივლისს საჭირო ნაწილების უქონლობის გამო უქმად იდგა პირველი, მეორე და მესამე ხუტორის სალეწები.

8 ივლისს მიღებული სალეწები ამუშავებისთანავე დაზიანდა და დღე მდე უქმად დგას. მეურნეობის დირექცია არ ჩქარობს სალეწების შეკეთებას.

მეორე ხუტორის პურის ბეღლის მშენებლობა დღემდე დაუმთავრებელია.

მეურნეობამ პურის მკა 6 დღეში დაამთავრა. მეურნეობის ზოგიერთი მუშაკი ამით თვითკმაყოფილებას იჩენს. მათ უნდა ასხოვდეთ, რომ მკის დამთავრებით მოსავლის აღების საბრძოლო ამოცანები არ ამოიწურება.

მოსავლის დაცვა ხანძრისაგან და დატაცებისაგან, პურის დაკვრითი წესით გალეწვა, გალეწილი მარცვლის ზუსტი აღრიცხვა და მთელი სასაქონლო პურის დრულად ჩაბარება სახელმწიფოსათვის — აი რა ამოცანები დგას ახლა ალაზნის საბჭოთა მეურნეობის პარტიული, სამეურნეო, კომკავშირული და პროფესიული ორ განიზაციების წინაშე, რაც მათ ბოლ შევიკურად უნდა შეასრულონ.

ს. ყაჯარდუზოვი.

პასუხისგებაში პურის ჩაბარების კანონის დარღვევისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის საგარეუბნო რაიკომის მიერ 1933 წლის 14 ივლისის დადგენილება

საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეუბნო რაიკომის ბიურო აღნიშნავს, რომ თელეთის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ცქიტიშვილმა და კოლმეურნეობის გამგეობამ უხეშად დაარღვიეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც აკრძალულია პურის ყოველგვარი ვაჭრობა, ყიდვა და გაყიდვა დამზადების და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების პერიოდში. მიუხედავად ამ არსებული კანონისა პურით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, ლენინის სახელობის კოლმეურნეობების თავმჯდომარემ ცქიტიშვილის მოქმედებას, რისთვისაც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლომსაძეს და ტერიტორიალური უჯრედის მდივანს ამხ. ჭყონიას გაეცნობათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

3. მიმაგრებულ იქნან აღნიშნულ კოლმეურნეობაზე ერთი თვით ამხ. კ. კნაძე და მიგრიაული, რომლებმაც ძოაწყონ კოლმეურნეობის გაწმენდა სოციალისტურად უცხო ელემენტებისაგან და ჩაატარონ მთელი რიგი ღონისძიებანი კოლმეურნეობის ორგანიზაციულ - პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცებისათვის.

4. წინადადება მიეცეს ყველა პარტ კომკავშირულ უჯრედებს და მიმაგრებულ ამხანაგებს დაამუშაონ ეს დადგენილება ყველა უჯრედში, კოლმეურნობაში და საბჭოების პლენუმზე და კლასობრივი მტრების (ცქიტიშვილის და სხვ.) კულაკური გამოსვლების საპასუხოდ მოაწყონ პურის ჩაბარების გეგმის ბოლშევიკურად შესრულება ყველა სოფელსა და კოლმეურნეობაში.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის საგარეუბნო რაიკომის მდივანი — შელია.

მოსამზადებელი მუშაობის თავის დროზე დამთავრებით უზრუნველვყოთ გაწვევის წარმატებით ჩატარება

უარს ამბობენ შეღავათებზე

(ბაბაშის რაიონი)

ბაბაშის რაიონში 1911 წ. დაბადებულ მოქალქეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმე ჩამორჩენილია. ამ გარემოებას მოაქცია ყურადღება ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც რაიონის განათლების განყოფილების მისცა მტკიცე დავალება მუშაობის გაწყვის შესახებ. ეხლა ეს საქმე მოგვარებულია; ლიკპუნქტებში სწავლება გაჩაღდა, პირველ ივლისისთვის რაიონში არ ეყოლება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელი.

უკვე გამომეღავნებულია და გაუხრილულია ყველა ანტისაბჭოთა და არასაიმედო ელემენტები. დამთავრებულია ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა. ყველა წვევამდელზე გავრცელებულია კანონით მიკუთვნებული შეღავათები. ფართოდ არის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ჩატარდა წვევამდელთა საათები და რაიონული კონცერტ-ცნობები.

მთელ რიგ შემთხვევებში წვევამდელები უარს აცხადებენ მიკუთვნებულ შეღავათებზე და მოითხოვენ წითელ არმიაში გაგზავნას. ᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡ სახ. საბჭოდან წვევამდელმა ᲐᲠᲩᲘᲐᲕᲐᲛ, რომელსაც ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შეღავათები ჰქონდა მიკუთვნებული, უარი განაცხადა შეღავათზე. ასევე მოიქცენ ᲜᲐᲡᲘᲡᲐᲕᲐᲨᲘᲡ სახ. საბჭოდან ევგ. ჩარავა და ᲛᲐᲠᲜᲘᲡ სახ. საბჭოდან ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲛᲔᲚᲘᲐ.

ქ. სხულუხია.

წვევამდელები იბრძვიან სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის

(ბურჯაანი)

ბურჯაანის სამხედრო კომისარიატმა გაწვევის გარშემო გაშალა ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია და მასში ჩაება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამის გამო ბურჯაანის რაიონს აქვს თვალსაჩინო მიღწევები. ეი ფაქტები: წერა-კითხვის 120 უცოდინარიდან პირველი ივლისისთვის მომზადებულია 100 კაცი. დანარჩენებთან მეცადინეობა მიმდინარეობს. ყველაილისა და ტიფის საწინააღმდეგო აცრა გაიარა წვევამდელთა უმრავლესობამ. ბურჯაანის, კარდანახის, ბაკურციხის, ვეჯინის და ველისციხის კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებულია 1911 წელში დაბადებულთა დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც სწარმოებ ლა წვევამდელზე გავრცელებულია კანონით მიკუთვნებული შეღავათები. ფართოდ არის გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ჩატარდა წვევამდელთა საათები და რაიონული კონცერტ-ცნობები.

მთელ რიგ შემთხვევებში წვევამდელები უარს აცხადებენ მიკუთვნებულ შეღავათებზე და მოითხოვენ წითელ არმიაში გაგზავნას. ᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡ სახ. საბჭოდან წვევამდელმა ᲐᲠᲩᲘᲐᲕᲐᲛ, რომელსაც ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შეღავათები ჰქონდა მიკუთვნებული, უარი განაცხადა შეღავათზე. ასევე მოიქცენ ᲜᲐᲡᲘᲡᲐᲕᲐᲨᲘᲡ სახ. საბჭოდან ევგ. ჩარავა და ᲛᲐᲠᲜᲘᲡ სახ. საბჭოდან ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲛᲔᲚᲘᲐ.

ქ. სხულუხია.

ცნობების გაცემის „ახალი წესი“

ᲒᲘᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ

წვევამდელთა ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ზომას, რადგანაც ამით შემსუბუქებული იქნება ჯარაში გასაწვევის ოჯახის უუნარო წევრთა მდგომარეობა და დახმარება გაეწევა მის მფურველობას. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ წვევამდელს, რომელსაც ოჯახში მის რჩენაზე ერთე, ორი ან კიდევ მეტი შრომისუნარიანი ოჯახური წევრი ყავს, ანიჭებს შეღავათს, მოკალაქენი, რომლებსაც მიეკუთვნებათ შეღავათი, თავისუფლდებიან არმიის საკადრო ნაწილში სამსახურიდან. სამხედრო სამსახურს ისინი გადიან ტერიტორიალურ ნაწილებში, ან ჯარის გარეშე მომზადების წესით. უკიდურეს შემთხვევაში, თუ მათ გაიწვევენ ჯარში, მათ უზრუნველყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს ეძლევა ფული და დახმარება სახელმწიფოს მიერ.

ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით შეღავათის მინიჭების საკითხს გაწვევამდე განსაზღვრავს რაიონისმომსახ. სამხედრო კომისარიატთან არსებული კომისია, გაწვევის პროცესში კი თვით გამწვევი კომისიები, მაგრამ სწორი ღირიცხვისთვის უმჯობესია შეღავათების მქონე პირთა რაოდენობა გამოკვლეული იქნას ჯარ კიდევ გაწვევის დაწყებამდე. მიტომაა, რომ ზემდგომმა ორგანიზაციებმა ადგილებს დაუგზავნეს დირექტივა, რათა წვევამდელთა მიწერის დროს ზუსტად ყოფილიყო შესწავლილი ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობა, ყველა წვევამდელი ვალდებულია ამთავითვე გამოარკვიოს თავისი შეღავათი. ამ გილობრივი საბჭოთა ორგანოები კი ვალდებული არიან დაეხმარონ მათ შეღავათების გაფორმებაში.

საერთოდ, ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობებს იძლევა ადგილობრივი საბჭოები, ადმინისტრატიული განყოფილებები ან მილიციის სამმართველო. ქუთაისის ქალაქის მილიციამ ამ მხრივ საფრთხილო რეკორდი დაამყარა. ᲐᲡᲔᲗᲘ მოწმობის გაცემისათვის მასთან მისულ წვევამდელს მოსთხოვა 12 მოწმის მიყვანა, რაც ერთგვარ დაბრკოლებას უქმნის წვევამდელს ანარდებელის მისთვის მიკუთვნებული შეღავათით, რადგანაც ჩვენ ცნობილია 12 კაცის სამუშაოდან მოწყვეტა და მილიციაში წაყვანა დანაშაული იქნებოდა, თუ არც ერთი მოწმეული ამაზე არ დასთანხმდებოდა.

ნუ თუ ქუთაისის მილიციის მუშაკებს განსაკუთრებული კანონები აქვთ? სად ამოიკითხეს მათ 12 კაცის მოწმედ მიყვანა?

მილიციის ასეთი მოქმედება წვევამდელებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

სიტყვა რესპუბლიკური მილიციის უფროსს ეკუთვნის.

ხ. გ.

რა კეთდება ადგილებზე

ᲮᲝᲠᲝᲜᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ.

ამ დღეებში ხაბუმის სას. საბჭოში შეიდგა წვიეულ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობის კონფერენცია. კონფერენციაზე შემოწმდა გაწვევისთვის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობა. აგრეთვე გაირჩა წვევამდელთა სიები.

კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ყველა წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე არ ყოფილა მიზიდული ლიკპუნქტებზე. ამიტომ განათლების განყოფილებამ მასწავლებლები და სოფლის აქტივი ინდივიდუალურად მიამაგრა წერა-კითხვის უცოდინარ წევამდელებზე.

ხაბუმში წვევამდელთა სამხედრო სწავლება სრულად მიმდინარეობს. ამ მიმართულებით თა რაიაბჭოს სრულებით არაფერს აკეთებს.

ᲩᲐᲚᲘᲒᲐᲕᲐ, ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ.

გორის რაიონში გაწვევისთვის მზადება გაცხოველებით მიმდინრეობს, ფართოდ არის გაშლილი ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამ საქმეში ინიციატივა აიღო გორის კომკავშირის ორგანიზაციამ, რომელმაც ლიკპუნქტების მიმართ სწორი ხელმძღვანელობის შედეგად მიაღწია იმას, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა წვევამდელთა შორის მოლიანად ლიკვიდირებულია.

კომკავშირის გორის ორგანიზაციის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ყავს თელავის ქ.-ქ. ორგანიზაცია და იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲒᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

აფხაზეთმა ჩამორჩენა დასძლია

აფხაზეთში წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმე ჩამორჩენილი იყო. ამის მიზეზს უმთავრესად წარმოადგენდა ის, რომ წვევამდელთა ვახაწვევ უბნებზე მოწერის დროს ვერ იქნა ზუსტად აღრიცხული ყველა უცოდინარი. ამიტომაც ამ საქმეს ხელს უშლიდა ლიკპუნქტებისათვის ბინებისა და სახელმძღვანელოების უქონლობა და მასწავლებელთა კადრების სიმცირე. ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში. აფხაზეთის სამხედრო კომისარიატმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება, დახვა ეს საკითხი სოლქომ კომიტეტში და უკანასკნელის დახმარებით შესძლო ამ საქმეში კომკავშირის, პროფორგანიზაციების, საბჭოთა და კოოპერაციული მეურნეობების მიზიდვა. გააცხოველა მუშაობა განათლების განყოფილებამაც. ქ. სოხუმში და პერიფერიებზე გაიხსნა 150 ლიკპუნქტი, რომლებშიც მიზიდული იქნა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა 90 პროც.

მაგრამ მთელ რიგ მოწინავე რაიონებისა და წარმოების გვერდით გვყავს ჩამორჩენილებიც. მაგალითად, შავი ზღვის რაიონის ბზის მუნიციპალიტეტში ლიკპუნქტებში ჩაბმულია უცოდინართა მხოლოდ 18 პროც., რაც ცხადყოფს, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტის სოციალისტური რესპუბლიკა იმყოფება განსაკუთრებულ პირობებში. სოციმუნებლობამ, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ხსნადახვა მხარეებიდან მოიზიდა მრავალი მუშა-ხელი, მათ რიცხვში ბევრი უცოდინარი. ამიტომაც ეს საქმე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამ მხრივ აფხაზეთის საკავშირო რესპუბლიკა ჩაბმულია ბრძოლა ვერ გაბედა წვევამდელთა შორის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

აფხაზეთს არც წვევამდელთა ჯანმრთელობა აქვს დავიწუებული. გასაწვევი ახალგაზრდები ექიმ-კონსულტანტების მეთვალყურეობით გაივლიან სამედიცინო კომისიას. ამჟამად ექიმ-კონსულტანტები მოგზაურობენ მთიან რაიონებში. ამ მხრივ აფხაზეთის ჯანმრთელობის განყოფილებამ ადგილობრივ ექიმებს მისცა ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც ექიმ-კონსულტანტების მოსვლამდე ადგილობრივმა ექიმებმა უნდა გამოარჩიონ ის ახალგაზრდები, რომელთაც ექიმ-კონსულტანტების მიერ ჯარისკაცობისათვის ვარგისად ცნობა მიეცემათ.

ფართოდაა გაშლილი აგიტმასობრივი მუშაობა მთავრობის გაწვევის დამხმარე კომისია აფხაზეთში სისტემატიურ ხელმძღვანელობას უწევს ადგილებს, თვალყურს ადევნებს მათ მუშაობას და გზადაგზა ახორციელებს ყველა დეფიციტებს.

ამგვარად, აფხაზეთმა თავი დააღწია ჩამორჩენას და მტკიცედ ჭაგუებს მოწინავე პოზიციებს.

ს. გოლ—ძე.



თავდაცვა-ავიაქიმის წევრ ქალთა ვარჯიშობა სროლაში თავდაცვა-ავიაქიმის ბანაკში

ძირფივე აღკვეთილ საკვების დანაკლისის ფაქტებს

სასილოსე კამპანია საფრთხეშია

დემობილიზაციური განწყობილება უნდა აღიკვეთოს

მიმდინარე წელს სასილოსე კულტურების (სიმინდი, სორგო და სხვ.) თესვა საქართველოში უფრო ორგანიზებულად ჩატარდა ვინემ გასულ წელს. თესვის გეგმები წარსულ წელთან შედარებით შესრულდა უფრო მოკლე ვადებში და ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით.

წელს სასილოსე კულტურები დაითესა 2119 ჰექტარზე. 20 ივნისისათვის თესვის გეგმა მთლიანად იყო შესრულებული. 1932 წელს ამ რიცხვისათვის დათესილი იყო მხოლოდ 564 ჰექტარი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თესვის დარგში მიღწეული წარმატებებით ზოგიერთი სამიწაწყმოქმედო ორგანიზაცია თვითკმაყოფილებას მიეცა და ვერ გამოიჩინა ოპერატიული მუშაობის უნარი სასილოსე მშენებლობის სათანადოდ გასაშლელად.

სასილოსე მშენებლობის გეგმების მთლიანად შესრულება ერთ-ერთი ძირითადი პირობაა იმისთვის, რომ სოციალისტურ მეცხოველეობას ეფუძნოთ საზამთრის განმავლობაში და საგაზაფხულო თესვის პერიოდში საკვები მარაგის მტკიცე ბაზა — სილოსის სახით.

საგაზაფხულო თესვის წარმატება უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ იქნებოდა ზამთრის პერიოდში მუშაობა ჰირუტყვი. აი ამიტომ თივასთან ერთად სილოსს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

წარსულ წელს საქართველოში ზოგან არ ექცეოდა სერიოზული ყურადღება სასილოსე მშენებლობას. ამის გამო ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში დაიღუპა მრავალი ტონა სილოსი.

ეს მდგომარეობა ავალებდა უპირველესად ყოვლისა საქ. მიწსახკომს გაეთვალისწინებია გასული წლების გაკვეთილები სასილოსე მშენებლობაში და მკვიდრი ნაბიჯებით დაეყენებია ეს საქმე.

ამხ. ზიფერტი და მისი მოადგილე

ის მასალები, რომელიც ჩვენს ხელთ არის მოწმობს, რომ მიმდინარე წელსაც სასილოსე კამპანიას თავიდანვე არ მიექცა სერიოზული ყურადღება.

დაუშვებელი უყურადღებობისა და ბიუროკრატიული შიფასების ნიმუში სასილოსე კამპანიისა გვიჩვენა „საქ. სოფლის მეურნეობის მოამაგემ“ (მშართველი ამხ. ზიფერტი, მოადგილე ამხ. ხაზიაშვილი). პირადათ ამხ. ხაზიაშვილს ევალებოდა 15 ივნისამდე დაეგზავნა მეცხოველეობის რაიონებისათვის სასილოსე ორმოების მშენებლობისათვის საჭირო ცემენტი. მაგრამ ამ დავალების შესასრულებლად არც ამხ. ხაზიაშვილმა და არც ამხ. ზიფერტმა არ მიიღეს საჭირო ზომები.

გეგმით წელს საქართველოში უნდა აშენებულიყო სასილოსე ორმო 6.328 ტონა ტევადობის. საბჭოთა მეურნეობებში — 3.850 და კოლმეურნეობებში — 2.478 ტონა ტევადობის.

უნდა ჩატარებულიყო აგრეთვე არსებულ სასილოსე ორმოების რემონტი. სადირექტივო ორგანოების დადგენილებით, ამ სამუშაოთა შესრულების ვადად დაწესებული იყო 15 ივლისი. მაგრამ როგორია ამ მხრივ მდგომარეობა?

საქ. მიწსახკომის მეცხოველეობის სექტორმა არ იცის, თუ რამდენი ტონა ტევადობის სასილოსე ორმოა შესაკეთებელი. იქ არც ის იციან, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად ამ მხრივ ადგილებზე.

მიწსახკომის მეცხოველეობის სექტორის სპეციალისტი ამხ. ტიმოფეევი ამის გასამართლებელ საბუთად ასახელებს იმ გარემოებას, რომ — რა საჭიროა ორმოების შესაკეთებელი გეგმების დაშვება ადგილებზე, ეს მათ ჩვენზე უკეთ იციანო.

15 ივლისიდან უნდა დაწყებულიყო სარეველა ბალახების, ბოსტნეული კულტურების ნარჩენების და სხვ. დასილოსება.

სასილოსე კულტურების მასობრივად დასილოსება საქართველოს დაბლობ ადგილებში უნდა დაწყოს 1 აგვისტოდან, მთიან რაიონებში — 15 აგვისტოდან. მაგრამ დაწესებულ ვადებში სასილოსე კამპანიის დაწყება საფრთხის წინაშეა, რადგან 15 ივლისისათვის არამც თუ დამთავრებული იყო სასილოსე ორმოების მშენებლობა და რემონტი, არამედ ზოგიერთ ძირითად მეცხოველეობის რაიონს ეს სამუშაო დაწყებულიც არ ჰქონდა. სასილოსე მშენებლობის ფრონტზე ეს საგანგაშო მდგომარეობა, რომ ბიუროკრატიული მოუქნელობით და ოპორტუნისტული თვითმდინარებითაა შეფერხებული ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება:

საქ. მიწსახკომმა 4 ივლისისათვის (ძლიერ დაგვიანებით) შეამოწმა, თუ რა მდგომარეობაა ადგილებზე ახალი სასილოსე ორმოების მშენებლობის მხრივ. მეტად ცუდი მდგომარეობა გამოარკვა. ამავე რაცხვისათვის საქ. სოფლის მეურნეობის მომარაგების მიერ სასილოსე ორმოების მშენებლობისათვის საჭირო ცემენტი არ იყო გადაგზავნილი **წალენჯიხის, ყვარელის, ტოლოშის, ახალციხის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის** რაიონებში. ეს ხდება მაშინ, როცა 6.328 ტევადობის სასილოსე ორმოების მშენებლობისა და რემონტისათვის საჭირო 84 ტონა ცემენტი ცენტრალიზებული მომარაგებიდან გადაცემული ჰქონდა საქ. სოფლის მეურნეობის მომარაგებას, რომელიც ვალდებული იყო, 15 ივნისამდე ცემენტი გადაეგზავნა რაიონებში.

15 ივლისისათვის ცემენტი არ იყო გადაგზავნილი მეცხოველეობის ისეთ ძირითად რაიონებში როგორიცაა: **დუშეთის, წალკის, ბაშკიჩეთის, ერწო - თიანეთის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის და ტოლოშის** რაიონებში.

ცენტრის მოლოდინში

აღსანიშნავია, რომ მთელმა რიგმა რაიმოწყობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, ვერ გამოიჩინეს ბოლშევიკური დარაზმულობისა და კონკრეტული მუშაობის ფხა. **იყვნენ რა ცენტრის მოლოდინში, მოხერხებულად ვერ გამოიყენეს მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებები და დროულად არ დაიწყეს სასილოსე მშენებლობა.** მაგალითად, **ქუთაისის** რაიმიწგანმა (გამგე — ამხ. **შ. პაქსაშვილი**) არც კი ინება გამოესყიდა ცენტრიდან მიღებული ცემენტი სასილოსე მშენებლობის საჭიროებისათვის.

უგეგმობა, თვითმდინარეობაზე დაყრდნობა, ყველა საშუალებათა გამოუყენლობა, სასილოსე კამპანიის შეუფასებლობა, პარტიის საბრძოლო დავალებების ძეუსრულებლობა სასილოსე მშენებლობის დაგვიანების ძირითადი მიზეზებია.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღებას სასილოსე მშენებლობაში სასწრაფო გარდატეხის მოსახდენად. საჭიროა იმის ნათლად შეგნება, რომ ჩაშლა მოელის პარტიის სერიოზულ სამეურნეო - პოლიტიკური დავალების შესრულებას დასილოსების კამპანიის სახით.

ის მცირედი დრო, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია საჭიროა გამოვიყენოთ მაქსიმალურად და ბოლშევიკურ მონდომებით.

საქ. მიწსახკომმა ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ადგილებს სასილოსე მშენებლობაში.

საქ. სოფლის მეურნეობის მომარაგებამ სასწრაფოდ უნდა გაგზავნოს მეცხოველეობის რაიონებში გეგმით გათვალისწინებული ცემენტი.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, რაიმიწგანები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ვალდებული არიან სასილოსე კამპანია დაუკავშირონ პურისა და თივის აღებას, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ვადაზე ჩაბარების კამპანიას და ძალთა სწორი განაწილებით სასილოსე მშენებლობა გაშალონ დამკვრელი ტემპებით იმნაირად, რომ ეს სამუშაო ყოველ მიზეზს გარეშე დამთავრდეს სასილოსე კულტურების მოსავლის მასობრივად აღების დაწყებამდე, ე. ი. 1 აგვისტოსათვის.

თ. კუნჭულია

მეორდება წარსული წლის შეცდომები

მარტვილის რაიონში ფართოდ არის განვითარებული მეცხოველეობა. ამიტომ სასილოსე მშენებლობა აქ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ფაქტიურად კი რაიმიწგანი და ზოგიერთი კოლმეურნეობა დაუშვებელ უყურადღებობას იჩენს სასილოსე მშენებლობისადმი.

უხეირო ხელმძღვანელობის გამო გასულ წელს სასილოსე მშენებლობის გეგმა მხოლოდ 60 პროც. შესრულდა. მშენებლობის შეფერხება გამოწვეული იყო ცემენტისა და სხვა საჭირო საალმშენებლო მასალის დროულად მოუმარაგებლობით.

ეს გარემოება ავალებდა რაიმიწგანს ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა წელს სასილოსე კამპანიას. სამწუხაროდ ისევ მეორდება წარსული წლის შეცდომები და დაუდევრობა. მიუხედავად იმისა, რომ სასილოსე კულტურების აღების ვადები მოახლოვდა, სასილოსე ორმოები ჯერ კიდევ არ არის მოყვანილი წესრიგში და არც ახალი სასილოსე ორმოების მშენებლობა არის დამთავრებული. (გეგმით უნდა აშენებულიყო 180 ტონა ტევადობის და შეკეთებულიყო 560 ტონა ტევადობის ორმო.

რაიონის პარტიულმა, კომკავშირულმა და სამიწწყმოქმედო ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა აღმოუხვრან ზემოხსენებული დეფექტები და დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ სასილოსე მშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად.

ივ. ცანავა

მესამე—საგზაო კავშირში

ქუთაისის საკონსერვო ქარხანა

ამ ქარხნის დაბადებას წინ არ უძღოდა არავითარი ხმაური და საზეიმო სიტყვები.

პირველ ივნისს ჩუმად ამუშავდა საბჭოთა კავშირის მე-43 საკონსერვო ქარხანა, რომელიც ჯერ თუმცა მთლიანად დამთავრებული არ არის მაგრამ უკვე იძლევა პროდუქციას.

ქუთაისის საკონსერვო ქარხანა ერთი „518“-თაგანია. მას საფუძველი ჩაეყარა 1931 წლის ოქტომბერში. 1931 და 32 წლებში მშენებლობის წინაშე სერიოზული დაბრკოლება აღიმართა საალმშენებლო ფონდების სიმცირის გამო. მიმდინარე წლის იანვრამდე მშენებლობა კონსერვაციაშენილი იყო. მაგრამ ქარხანა აშენდა იანვარს აქეთ. ამჟამად უკვე მშენებლობა დასასრულს უახლოვდება და მომავალი წლიდან ქარხანა სრული დატვირთვით იმუშავებს.

ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ წლიურად უნდა გამოუშვას 22 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი (პირობითი ქილა ეწორის 400 გრამს). წელს წლიური ნაყოფიერება ათვისებული იქნება დაახლოვებით 30 პროცენტით. ივნისში ქარხანამ საწარმოო - საფინანსო გეგმის გარეშე გამოუშვა 130.000 ქილა კონსერვი, მესამე კვარტალში კი უნდა გამოუშვას 4.525.000 ქილა; აქედან ივლისზე მოდის 1.095.000.

თავისი სიმძლავრით და მოწყობილობით ქუთაისის საკონსერვო ქარხანას მესამე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში, ხოლო ტომატ-პასტის დამზადების მხრივ — მეორე. ქუთაისის ქარხნის მიერ დამზადებული ტომატ-პასტა იქნება უმაღლესი ხარისხის.

სრული დატვირთვის დროს ქარხანაში იმუშავებს 1.200 კაცი: 800 ექსპლოატაციაზე (ამჟამად მუშაობს 240) და 400 დამხმარე საწარმოებში. მუშა - ხელის 75 პროც. ქალები უნდა იყოს. ქარხანა აგებულია იმ ანგარიშით, რომ მასში მუშათა ძირითადი კადრის სახით ჩაბმული იქნეს ქუთაისის ღარიბი ებრაელობა.

ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მოწყობილობის 60 პროცენტი საიმპორტო (იტალიური და გერმანული), ხოლო 40 პროც. საბჭოთა კავშირში დამზადებული. ქარხანა ძირითადად გამოუშვებს სამი სახის პროდუქციას — ხილის კონსერვებს

„რეიხსპოსტი“-ს პროვოკაციული ჭორები საბჭოთა კავშირის შესახებ

ვენა, 16 ივლისი. ავსტრიის ოფიციოზი „რეიხსპოსტი“ თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „მოსპობრივი სოციალისტობა რუსეთში.“.

წერილში, რომელსაც ბელს აწერს ნაციონალური უმცირესობათა კონგრესის გენერალური მდივანი ეეველ ამენდე ნათქვამია, რომ ვოლგის მხარეში, უკრაინაში და ჩრდილოეთ კავკასიაში შიმშილისაგან დაზიანა რამდენიმე მილიონი საბჭოთა მოქალაქე. „უკანასკნელი კვირების განმავლობაში ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწეები ყოველ ნაბიჯზე აწყდებიან მთელს მსოფლიოს, უცილობლად თავის ინგლისელ და ფრანგ კოლეგებს, თითქოს ისინი არიან ფაშისტები სასტიკი მოწინააღმდეგენი და მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან ავსტრია „მისგან ფერ ჭირისაგან“.

ავსტრიის ოფიციოზის—„რეიხსპოსტის“ გამოცემა, რომელიც ავსტრიის ფარგლებში ავრცელებს უაზრო პროვოკაციას, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტების მიერ მოგონილ ჭორებს, ეწამბას იმას, რომ ნაციონალ-სოციალისტებს სცდათ გაელეწა აქთ ავსტრიაში და გვავრონებს, რომ ამენდე 1933 წელს, იმ დროს, როცა წარმოებდა გააფთრებული ანტისაბჭოთა კამპანია სამჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჯვაროსნული ლაშქრობის ლოზუნგით, ეწერდა გაცხოველებულ საქმიანობას. ბატონი ამენდე მხილველი იქნა მაშინ, როგორც იმ კულაკების დამცველი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას.

„იზვესტია“ აღნიშნავს, რომ ავსტრიაში ადგილი აქვს უდიდეს უმუშევრობას და, რომ ათეულ ათას მუშა და ინტელიგენტი შიმშილით იხოცება, იმათ, ვისაც საშუალება აქვთ ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირში და იშოვონ აქ სამუშაო, შენატრის მრავალი ათასი კაცი. ბევრია ისეთი მრეწველი, რომელიც ცდილობს დაკვეთების მიღებას საბჭოთა კავშირში.

„იზვესტია“ დასძენს: „როგორც ჩანს, ავსტრიის ოფიციოზი, როცა იგი ჩაება გერმანიის ნაციონალ-სოციალისტების მიერ დაწყებულ ანტისაბჭოთა კამპანიაში, ცდილობს ზიანი მიაყენოს ავსტრიის მოქალაქეთა სხვადასხვაგვარი კატეგორიების იმედებს და ინტერესებს (ადს).

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ჩინეთში უარყოფს საბჭოთა კავშირის მიერ ფინ იუ-სიანისათვის დახმარების შესახებ გავრცელებულ ხმებს

ბეიპინი, 19 ივლისი. ბეიპინის და ტიანძინის ყველა ჩინურმა და უცხოთის ხელმძღვანელმა გაზეთებმა გუშინ გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის უარყოფა იმ დახმარების შესახებ, რომელსაც, თითქოს, საბჭოთა კავშირი უწევს ფინ იუ-სიანს. უარყოფაში ხაზგასმით არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ ამ პროვოკაციულ ჭორებს უკანასკნელ დროს სისტემატიურად ავრცელებს იაპონის საინფორმაციო ბიურო ტოკიოში და რომ საბჭოთა საბჭოს ბეიპინის განყოფილების ჩინური საინფორმაციო ბიურო ეწევა იაპონიის საინფორმაციო ბიუროს მიერ შეთხზული ზღაპრების გადმობეჭდვას (ადს).

იაპონიის ნაწილების გაგზავნა დოლონნორის დასაკავებლად

შანხაი, 19 ივლისი. ჩინური წყაროებიდან მიღებული ოფიციალური ცნობების თანახმად, იაპონიის არმიის შტაბი ჩანჩურში დოლონნორის დასაკავებლად გზავნის 20 ათასი კაცისაგან შემდგარ მანჯურიის ჯარს და იაპონიის მეოე დივიზიის ძირითად ნაწილს, ყუმბარმხიდების ესკადრილია უკვე ჩავიდა ფინნში (ეუბნეს პროვინციის დასაცლეთი ნაწილი). ამავე მიმართულებით მარშუტენორის დასაკავებლად გზავნის 20 ათასი კაციანი